ხუთშაბათი

იობ 19,21-27; ფს 26; ლკ 10,1-12

მისიონერთა თვე

ვუწყი, რომ ცოცხალია ჩემი გამომსყიდველი იობ 19,25

იობს ტანჯვაშიც კი ნამდვილად და ნათლად სწამს. ეუბნება ამას თავის მეგობრებს, რომლებიც ვერ ახერხებენ მის ნუგეშს. ვერ ახერხებენ, უთხრან, რომ ღმერთს უყვარს ის. იობი დარწმუნებულია, რომ თუკი მხსნელი ცოცხალია, არაფრისა უნდა ეშინოდეს ადამიანს. მხსნელია რომ ზრუნავს ჩვენს ხსნაზე.

2 ოქტომბერი

2020

პარასკევი

გამ 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

ისმინე მისი ხმა, ნუ აუჯანყდები მას გამ 23,21

ღმერთი ეუბნება ერს, ყური დაუგდოს მეგზურ ანგელოზს. ყური დაუგდოს, უპირველეს ყოვლისა, და თუ რაიმე ისეთს შესთავაზებს, რაც გეგმებში არა ჰქონია, არ ეურჩოს. ის გველაპარაკება ღვთის სახელით მხოლოდ ჩვენი სიკეთისათვის. მეც მყავს გვერდით ცხოვრების გზაზე ჩემს დასაცავად დადგენილი ანგელოზი: იმედითა და სასოებით ვთხოვ, დამეხმაროს.

შაბათი

იობ 42,1-3.5-6.12-17; ფს 118; ლკ 10,17-24

აჰა, გაძლევთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დასათრგუნავად ლკ 10,19

იესო ისმენს მოწაფეთა მონათხრობს მათი პირველი მისიის შესახებ. ამხნევებს მათ და იწონებს მათ ნამოქმედარს. ეშმაკები გარ-ბოდნენ მათ ლოცვაზე და სიტყვაზე. თუმცა, უფალი აფრთხილებს მათ, კმაყოფილებით არ დატკბნენ ნაღვაწის გამო, არამედ მხო-ლოდ იმ სიყვარულით ხარობდნენ, რომ-ლითაც უყვარს ისინი მამას: მას უყვარს ისინი მაშინაც და უმთავრესად მაშინ, როცა დევნასა და შეურაცხყოფას შეხვდებიან.

ეს 5,1-7; ფს 79; ფილიპ 4,6-9; მთ 21,33-43

მ. იან სნეჟინსკის გახსენება (+2011)

რთველი მოახლოვდა მთ 21,34

იესო ყვება იგავს. ვგებულობთ მის მნიშვნელობას: ჩვენს ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ნაღვაწ-ნამოქმედარისათვის ანგარიშის ჩაბარება ხდება აუცილებელი. ვის უნდა ჩავაბაროთ ეს ანგარიში? ნუგეშისმომგვრელია იმის ცოდნა, რომ ჩვენი მამაა ის, ვისაც გადავცემთ რაც რამ გვიკეთებია: მას ვუყვარვართ და კვლავაც ვეყვარებით!

ორშაბათი

გალ 1,6-12; ფს 110; ლკ 10,25-37

რუსთავის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

ვინაა ჩემი მოყვასი? ლკ 10,29

ჯრულის მცოდნეს ამ კითხვაზე იესომ უპასუხა კეთილი სამარიელის უმშვენიერესი იგავით. მშვენიერია ეს იგავი იმით, რომ იესოს ნამდვილი სიყვარულისა და ღვთის სათნო ქმედების მაგალითად მოჰყავს ერეტიკოსი, ყველასაგან ათვალწუნებული და გარიყული ადამიანი. მეც შემიძლია სათნო ვიყო ღვთისთვის და გამოვდგები სანიმუშოდ, მაშინაც, როცა 'კარგ ქრისტიანად' არ მიმიჩნევს არავინ.

სამშაბათი

გალ 1,13-24; ფს 138; ლკ 10,38-42

მარიამმა უკეთესი წილი აირჩია ლკ 10,42

კეთილი სამარიელის ნიმუშის შემდეგ, აი, სხვა მაგალითი ჩვენთვის. ამჯერად ერთი ქალი, ქალი, რომელიც ერთი შეხედვით არაფერს აკეთებს, უბრალოდ ყურის დაგდების უნარი აქვს. უპირველეს ყოვლისა მას სურს იესოს მოსმენა, რათა იცოდეს, რისი კეთება მართებს. მისი და კი თავისით ადგენს, რა უნდა აკეთოს, და სწორედ ამის გამო მძიმე და ბუზღუნა ხდება. იესო მას სწორედ იმის მაგალითს მიუთითებს, ვისაც იგი უჩივის.

7 ოქტომბერი

2020

რიგითი XXVII კვირა [III]

სავარდის ნეტარი ქალწული მარიამი, (მ) თ

ოთხშაბათი

გალ 2,1-2.7-14; ფს 116; ლ 11,1-4
(ან, საქმ 1,12-14; ფს: ლკ 1,46-55; ლკ 1,26-38)

ახალციხის რაბათის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

როცა ლოცულობთ, თქვით: მამაო ლკ 11,2

მოწაფეებმა შეატყეს, რომ არა ჰქონდათ თავიანთი მოძღვრის მსგავსად ლოცვის უნარი. სთხოვენ, რომ ასწავლოს მათ ლოცვა. ისიც მყისვე პასუხობს მათ. მნიშ-ვნელოვანია ლოცვის სწავლა. ვინც არა სწავლობს ლოცვას, იგი თავს იტყუებს ლოცვისას. აბა, გააღვიძე შენს გულში სი-ყვარული, რათა იმ სიყვარულს უპასუხო, სიცოცხლე რომ გაჩუქა შენ. წმიდა სავა-რდი ის ლოცვაა, რომელიც გვასწავლის ლოცვას იმ სიყვარულით, რომლითაც მარიამს უყვარს იესო!

8 ოქტომბერი

რიგითი XXVII კვირა [III] მწ

(25.IX) წმ. არსენ დიდი კათალიკოსი, +887

2020

ხუთშაბათი

გალ 3,1–5; ფს: ლკ 1,69–75; ლკ 11,5–13

ითხოვეთ და მოგეცემათ ლკ 11,9

იესო ამ სიტყვებს ეუბნება მოწაფეებს, რომლებსაც უკვე ძლიერ უყვართ იგი. იგია მათი განძი. თუმცა, ლოცვისას, ისინი მხოლოდ იმას ითხოვენ, რაც მას სურს, და აღმოაჩენენ, რომ მას დაუსწრია, და ვიდრე სთხოვდნენ, უპასუხია მათი ლოცვისთვის.

წმ. დიონისე ეპ. და მეგ., წამ., +IIIს.
წმ. იოანე ლეონარდი, ხუც., +1609

პარასკევი

გალ 3,7-14; ფს 110; ლკ 11,15-26

მ. პეტრე ხარისჭირაშვილის გახსენება (+1892)

ისინი, ვინც რწმენისაგან არიან იკურთხებიან გალ 3,9

რწმენისაგან ისინი არიან, ვინც თავიანთ იმედს მამის სიყვარულზე ამყარებენ და არა საკუთარ შეძლებაზე. არ არიან რწმენისაგან ისინი, ვისაც ჰგონიათ, რომ ძალუძთ მადლის დამსახურება თავიანთი ძალებით. ესენი იოლად იწყებენ ქადილს, სხვათა განსჯა-განკითხვას, მოთხოვნებს. კურთხეულია ის, ვინც თანახმაა მამის სიყვარულის მიერ ხსნაზე!

შაბათი

გალ 3,22-29; ფს 104; ლკ 11,27-28

ნეტარ არიან ისინი, ვინც მოისმენენ და დაიცავენ ღვთის სიტყვას ლკ 11,28

ასე უპასუხა იესომ იმ ქალს, რომელსაც დედამისის შეშურდა. მარიამი ნეტარია მხოლოდ იმის გამო, რომ უსმინა და გაუგონა მამას. ამის გამოა, რომ შეძლო სიცოცხლე მიეცა მამის ძისათვის. შენც ძალგიძს მისებრ ცხოვრება, ღვთის მოსმენითა და მისი ნების აღსრულებით. და იქნები ნეტარი!

11 ოქტომბერი

რიგითი XXVIII კვირადღე, «ა», [IV], მწ

2020 კვირა

ეს 25,6-10; ფს 22; ფილიპ 4,12-14.19-20; მთ 22,1-14

მრავლად არიან ხმობილნი, ცოტანი – რჩეულნი მთ 22,14

ამ სიტყვებით იესო ასრულებს ერთ გრძელ იგავს, რომელიც აღწერს ცათა სასუფევლის ერთ ასპექტს. მასში შესვლა ყველას შეეძლება, „ბოროტსაც და კეთილსაც“, ოღონდ, იმ პირობით, თუ უარს არ იტყვიან საქორწილო სამოსზე, მეფის ძღვენზე. ყოველდღიურად ვიმოსებით ქრისტეთი, მამის ძღვენით! ამას ვაკეთებთ სიყვარულის, მიტევების, სიმშვიდისა და თავმდაბლობის მისი სულის მიღებით.

ორშაბათი

გალ 4,22-24.26-27.31 - 5,1; ფს 112; ლკ 11,29-32

თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ! გალ 5,1

რისი თქმა სურს წმიდა პავლეს? იესომ გაგვათავისუფლა ყველა იმ ვალდებულებისაგან, რის იძულებასაც გრძნობდნენ ებრაელები, ამგვარად, შეგვიძლია თავისუფლები ვიყოთ, შევიყვაროთ ყოველი ადამიანი ისევე, როგორც მას უყვარს ისინი. არა ვართ ვალდებულნი საკუთარი ძალებით დავიხსნათ თავები, შეგვიძლია ძმათა სიყვარულით დავკავდეთ: თავისუფლები ვიქნებით სიყვარულისათვის!

სამშაბათი

გა 5,1-6; ფს 118; ლკ 11,37-41

ერთმა ფარისეველმა სადილად მიიწვია ლკ 11,37

რა მშვენიერია, იესო გყავდეს ადამიანს სადილზე! თუმცა იგი არ აპირებს გაჩუმებას და ყველაფერზე დათანხმებას: შეუძლია მასპინძლის საყვედურიც. მართლაც, ეუბნება მას, რომ გარეგან სისუფთავეზე მნიშვნელოვანი შინაგანია.

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ
(1.X) დღესასწაული კვართისა; წმმ. მირიან და ნანა, IVს.;
წმ. მელქისედეკ I, კათალიკოს-პატრიარქი, +1033 წმ.
კალიქსტე I, პაპი და წამ., +222

ოთხშაბათი

გალ 5,18-25; ფს 1; ლკ 11,42-46

მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე

თუ სულით იარებით, რჯულის ქვეშ აღარ ხართ გალ 5,18

ვინც რჯულის ქვეშაა, ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები აკეთოს, რათა იმაზე მეტით არ შეწუხდეს, რასაც კანონი მოითხოვს მისგან. ამგვარად იქცევა ის თავკერძა ეგოისტად, ეძლევა სიამეებს, მასპინძლობს შურს, განსჯა-განკითხვას, უთანხმოებას და თვით, მისნობასაც და სიბილწესაც კი. ხოლო ის, ვინც სულიწმიდის სამსჯავროს მოუხრის ქედს, ივსება სიყვარულით, სიხარულით, მოთმინებით და სიკეთით, თავმდაბლობით და ენისა და გრძნობების მოთოკვით, და ერთგულად ასრულებს თავის ვალდებულებებს.

ხუთშაბათი

ეფ 1,1-10; ფს 97; ლკ 11,47-54

ამოგვარჩია ჩვენ მასში სოფლის შექმნამდე ეფ 1,4

იცი, რისთვის ამოგვირჩია ღმერთმა? რათა წმიდანნი ვყოფილიყავით. რას ნიშნავს? ამგვარად გეტყვი: წმიდა ხარ, როდესაც არ პასუხობ სხვათა ნაკლსა და ცოდვებს, მაშინაც კი, როცა ისინი გწეწავენ. წმიდა ხარ, როცა მხოლოდ მამის სიყვარულს პასუხობ, ანუ, შენი მხრიდანაც გიყვარს, მაშინაც კი, როცა ცილს დაგწამებენ და გაგთელავენ.

16 ოქტომბერი

2020

რიგითი XXVIII კვირა [IV] მწ

წმ. იადვიგა, მონ., +1243;
წმ. მარგარიტა მარია ალაკოკ, ქალწ., +1690

პარასკევი

ეფ 1,11-14; ფს 32; ლკ 12,1-7

მოერიდეთ ფარისეველთა საფუარს ლკ 12,1

საფუარი ის დაფარული ერთი ბეწო რამაა, რაც ბერავს ცომს. არ დაუშვა, გავლენა იქონიოს შენზე იმან, რის გავლენის ქვეშაც არიან ფარისევლები, ანუ, გინდოდეს წესრიგში ყოფნა. ღმერთის წინაშე არასოდესა ხარ წესრიგში, რაკი არ ძალგიძს მისებრ სიყვარული. მუდამ თავმდაბლობით იცხოვრე და შეიწყნარე დამცირებებიც.

შაბათი

ეფ 1,15-23; ფს 8; ლკ 12,8-12

დიდების მამამ დაადგინა იგი თავად ეკლესიისა ეფ 1.22

მოციქული იესოზე საუბრობს. მისი ეკ-
ლესია მისი სხეულია: იგი მიუძღვის მას,
როგორც თავია ადამიანის სხეულის სი-
ცოცხლე და მეგზური. ამის გამო, ეკლესია
დაჰყვება ქრისტე იესოს, და ისიც იყენებს
მას წუთისოფლის სახსნელად. იესოს არაფ-
რის კეთება არ შეუძლია ეკლესიის გარეშე:
მისი სხეულია ის! ხოლო ეს უკანასკნელი
თავის გარეშე უბრალოდ მოკვდებოდა.

18 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირადღე, «ა», [I], მწ

2020 კვირა

ეს Ч5,1.Ч-6; ფს 95; 1თეს 1,1-5; მთ 22,15-21

მისიონერთა მსოფლიო დღე, შესაწირი მისიებისათვის

მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა – ღმერთსა მთ 22,21

იესოს პასუხი უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მოსაუბრეებს, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში მოიმწყვდიეს იგი. უფალი მოუხმობს სამართლიანობას: დააბრუნე ის, რაც არ გეკუთვნის. იყენებ იმას, რაც კეისრისაა? აღიარე ეს. მევალე ხარ ღვთისა? ნუ დაივიწყებ ამას. შეძლებ დაუბრუნო ღმერთს ყოველივე, რაც მისგან მიგიღია?

19 ოქტომბერი

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

წმმ. იოანე დე ბრებეფი და ისააკ ჟოგი, ხუც. და მეგ., წამ., +XVII ს; / წმ. პავლე ჯვრისა, ხუც., +1775

2020

ორშაბათი

ეფ 2,1-10; ფს 99; ლკ 12,13-21

ჩვენ, მკვდრები, გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად ეფ 2,5

მკვდრები ვიყავით თავკერძობის ჭკუაზე როცა დავდიოდით, ვცდილობდით დაგვეკმაყოფილებინა სიამეები, ამბიციებისა და ამპარტავნების საბელი გვება ყელზე. მკვდრები ვიყავით. სწორედ მაშინ მოგვივლინა ღმერთმა ქრისტე იესო, ახალი და სავსე სიცოცხლე, სიხარულითა და მშვიდობით რომ გვავსებს. დღესაც ჩვენ წინ გვიდევს ამის შესაძლებლობა!

სამშაბათი

ეფ 2,12-22; ფს 84; ლკ 12,35-38

ახლობლები გახდით ქრისტეს სისხლით ეფ 2,13

ახლობლები ვართ, ამბობს წმიდა პავლე. ებრაელები და წარმართები დავუახლოვდით ერთმანეთს, როდესაც იესო შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. აქედან მოყოლებული ერთნი ვართ გულით, სულით, ერთი ერი და ერთი სამწყსო. საოცარია იესო: როცა მიიღებ მას, ის გარდაქმნის ყველა შენს ურთიერთობას. ჯერაც არ გიცდია?

ოთხშაბათი

ეფ 3,2-12; ფს: ეს 12,2-6; ლკ 12,39-48

უფალო, ამ იგავს ჩვენ გვეუბნები, თუ ყველას? ლკ 12,41

წმიდა პეტრესაა რომ ჰგონია, თითქოს განსხვავება არსებობდეს იესოს მეგობრებსა და სხვებს შორის. მაგრამ, როდესაც ადამიანი ყურს უგდებ იესოს და უგონებ და დაჰყები მას, უკვე მის მეგობრებს ეკუთვნი. მისი ყველა სიტყვის მიღება და ხორცშესხმა შეუძლია ყველას. თითოეული მისიანია, როცა დაჰყვება მას და მხოლოდ ამ დროს.

ხუთშაბათი

ეფ 3,14-21; ფს 32; ლკ 12,49-53

ქრისტეს დასამკვიდრებლად რწმენით თქვენს გულებში ეფ 3,17

ამგვარად ლოცულობს წმიდა პავლე. მან უწყის, რომ ქრისტიანი ქრისტიანია მაშინ, როცა მის გულში უფალი მკვიდრობს, მუდმივად და განუწყვეტლივ. ქრისტიანს გააჩნია 'შინაგანი' სიცოცხლე, ანუ ის შინაგანად ცხოვრობს იესოსთან ურთიერთობაში. სხვა შემთხვევაში ის ყალბი ქრისტიანია, ტაკიმასხარა.

პარასკევი

ეფ 4,1-6; ფს 23; ლკ 12,54-59

შეიწყნარეთ ერთმანეთი სიყვარულში ეფ 4,2

ქრისტიანები არ არიან და ამქვეყნად არც ოდესმე გახდებიან სრულყოფილნი. მუდამ ექნებათ რაიმე შეზღუდულობა, რაიმე ნაკლი, რაც შესაძლოა ცოდვადაც იქცეს. ამიტომ, საჭიროა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია ატანა და უნდა გვეყოს თავმდაბლობა, რომ არ დაგვავიწყდეს, რომ სხვები გვიტანენ ჩვენ. ამგვარად ხდება ხილული იესოს სიყვარული.

24 ოქტომბერი

2020

რიგითი XXIX კვირა [I] მწ

წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ., +1870;
ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების პატარა ქალიშვილთა
კონგრეგაციის დამაარსებელი, +1915

შაბათი

ეფ 4,7-16; ფს 121; ლკ 13,1-9

ყველაფერში ვიზრდებოდეთ მის მიმართ ეფ 4,15

ამის მისაღწევად, ანუ სულიერად ზრდისათვის, გვეუბნება წმიდა პავლე, როდი გვჭირდება მივესადაგოთ წუთისოფელს. ჩვენს ირგვლივ დაქრის ათასგვარი „მოძღვრების ქარი", რომლებიც გვატყუებს და შეცდომაში შევყავართ. აუცილებელია იესოს ჩაეჭიდო მწყემსებთან და მოძღვრებთან, მოციქულებთან და ეკლესიის მსახურებთან თანაზიარებაში.

25 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირადღე, «ა», [II], მწ

2020 ვვირა

გამ 22,20-26; ფს 17; 1თეს 1,5-10; მთ 22,34-40

მ. გაბრიელ ასლანაშვილის გახსენება (+1930)

შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი მთ 22,39

პასუხობს იესო რჯულის მცოდნეს. არ ერიდება, დიდ მცნებას გვერდით ამოუყენოს ეს მეორე, პირველის მსგავსი მცნება. ეს მეორე ადასტურებს პირველის სიმართლეს. მართლაც, ვისაც მოყვასი უყვარს, ყოველი მოყვასი, დაჰყვება ყოველთა შემოქმედ ღმერთსა და მამას, რომელიც ყველას მოელის, რათა გულში ჩაიკრას.

ორშაბათი

ეფ 4,32 – 5,8; ფს 1; ლკ 13,10–17

ოდესღაც ბნელი იყავით, ახლა კი ნათელი ხართ უფალში ეფ 5,8

ცვლილება უნდა ჩანდეს. როგორ მივხვდე, რომ წარმართი აღარა ვარ? რა ავლენს ჩემს ქრისტიანობას, იესოს მოწაფეობას, ღვთის შვილობას? არც ქმედებაში და არც სიტყვებში ადგილი აღარა აქვს სიბილწეს, გვეუბნება წმიდა პავლე; მოსიყვარულე და გულუხვი ხარ, ფულს მოწყვეტილი. აწ უკვე, შენი ცხოვრებით ანათებ წუთისოფელს.

27 ოქტომბერი

რიგითი XXX კვირა [II] მწ

2020 სამშაბათი

ეფ 5,21-33; ფს 127; ლკ 13,18-21

დაემორჩილეთ ერთმანეთს ეფ 5,21

ეს სიტყვები უცნაურ მოხმობად ჟღერს ჩვენს წუთისოფელში, სადაც თითოეული ცდილობს ამოტივტივდეს. მაგრამ მოციქული ამბობს: „ქრისტეს მოშიშებაში“! იესოს ძალუძს გარდაქმნას ჩვენი სურვილები და ჩვენი ოცნებები. უფალს სწადია დაგვეხმაროს, რათა ვიქცეთ სიყვარულად, დავემსგავსოთ მამას. როდესაც ვცდილობ დავყვე, ვეხმარები სხვებს გახდნენ უკეთესები. წუთისოფელი იცვლება სიყვარულის ქმედებებით, მაშინაც, როცა ძვირი გვიჯდება.

28 ოქტომბერი

წმმ. სიმონი და იუდა, მოციქულნი, დ, [ს], წ

2020 ოთხშაბათი

ეფ 2,19-22; ფს 18; ლკ 6,12-19

სოხუმის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მოვიდნენ, რომ მისთვის მოესმინათ და განკურნებულიყვნენ ლკ 6,18

ვინც იესოსთან მოდის მის მოსასმენად და მისი სიახლოვით სიკეთის მისაღებად, მათ დახვდებათ აგრეთვე მოციქულებიც. ვინც ეძებს იესოს, იპოვის მას მუდამ მისიანების გარემოცვაში. ნუ იოცნებებ უეკლესიო იესოზე! მოციქულებიც ისმენენ და ისინიც საჭიროებენ განკურნებას, მაგრამ იესოს ისინი თავისთან უნდა და თავისი ძალმოსილებით მიავლენს მათ. დღეს ვმადლობ სიმონსა და იუდა თადეოზ მოციქულებს, მათი სიყვარულისათვის უფლისადმი და მოფენილი სახარებისათვის.

ხუთშაბათი

ეფ 6,10-20; ფს 143; ლკ 13,31-35

აიღეთ სულის მახვილი, რომელიც არის ღვთის სიტყვა ეფ 6,17

მოციქულს სურს აღჭურვილნი გვიხილოს, ანუ, ჩვენი რწმენის მტრებისაგან თავდასაცავად მზად. ეს მტრები ადამიანები როდი არიან, არამედ ცდუნებანი, ჩვენს გულებში რომ იჩენს თავს. მაშასადამე, აღჭურვილობა ყოფილა ჭეშმარიტება, ნება, დაჰყვე ღმერთს, სახარების, რწმენის გავრცელების სურვილი, დაბოლოს, გონებასა და გულში მუდამ მოქმედი ღვთის სიტყვა. ღვთის სიტყვა აშინებს მტერს, ეშმაკს. თუკი გულით არ ატარებ ღვთის სიტყვას, ყველა შენი გრძნობა დაგიმონებს და გაგანადგურებს.

პარასკევი

ფილიპ 1,1-11; ფს 110; ლკ 14,1-6

ვმადლობ ჩემს ღმერთს
თქვენს ყოველ გახსენებაზე ფილიპ 1,3

წმიდა პავლეს უყვარს ფილიპელნი, რომ-
ლებიც თავმდაბლად დაეხმარნენ მას არა
ერთხელ და ორჯერ. მისი ლოცვა ერთი
უწყვეტი სამადლობელია უფლისადმი აღ-
ვლენილი, რომელსაც ურთავს იგი თხო-
ვნას, რათა მათი ქმედითი სიყვარული სულ
უფრო მშვენიერდებოდეს, ღრმავდებოდეს,
გამოჰქონდეს ნაყოფი. იგივეს თქმა შემი-
ძლია მეც მრავალ ქრისტიანზე, რომელთა
სულიერი თუ ხორციელი მოვალეცა ვარ.

შაბათი

ფილიპ 1,18-26; ფს 41; ლკ 14,1.7-11

განდიდდება ქრისტე ჩემს სხეულში — სიცოცხლით იქნება თუ სიკვდილით ფილიპ 1,20

წმიდა პავლე გულს უხსნის თავის მოწაფეებს. საუბრობს იმ ფაქტზე, რომ არსებობს ხალხი, რომლებიც, სამწუხაროდ, აუწყებენ სახარებას შურით, სიხარბით, ამბიციებით, ვერცხლისმოყვარეობით. არ უნდა შეგვეშინდეს, ამბობს იგი: როგორც არ უნდა იყოს იესო ნაუწყები, მე ვხარობო. იგი არ დამტოვებს საზღაურის გარეშე იმისათვის, რაც მისთვის ვიშრომე და ვიწვალე: შეისენს თქვენს ლოცვას ჩემთვის!